

1. სამეცნიერო ნაშრომის შეფასებას ახდენს კომისია. კონფერენცია გაიმართება 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე მოხდება ნაშრომების გადარჩევა, ხოლო მეორე ეტაპზე 10 საუკეთესო ნაშრომზე მოხსენებების წარდგენა.

განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- თემის გეგმის ლოგიკური სტრუქტურა და დასაბუთებულობა
- თემის მთავარი თეზისი
- საკითხის მნიშვნელობა და თქვენბური ხედვა, პრობლემის გადაჭრის გზები
- არგუმენტაცია
- კვლევის მეთოდები

გამოყენებული ლიტერატურა

თითოეული კრიტერიუმი შეფასდება 5 ქულიანი სისტემით

მოხსენებების შეფასების კრიტერიუმები:

- - სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: თემის აქტუალობის წარმოჩენა და მიღებული შედეგების დასაბუთება – 10 ქულა; თავისუფალი აზროვნება და დასკვნების გაკეთების უნარი – 10 ქულა; პრეზენტაციისა და დისკუსიის წარმოების უნარი – 10 ქულა; ნაშრომის ტექნიკური შეფასება (დაცულია თუ არა სტრუქტურის ლოგიკური ხაზი და ციტირება).
- 2. დასკვნითი ტურის მონაწილეებს გადაეცემათ სერთიფიკატები. კონფერენციის ყველა მონაწილე დაჯილდოვდება მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატით, ხოლო სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორს გადაეცემა შესაბამისი სერთიფიკატი. შერჩეული ათი საუკეთესო ნაშრომის ავტორი მონაწილეობას მიიღებს გასვლით აქტივობას კონფერენციაში მონაწილე ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე, თანასწორთა განათლების მეთოდოლოგიით ღია სივრცეში ჩაუტარდებათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიები ჯანსაღი ცხოვრების წესის (სწორი კვება და ჰიგიენა), ადრეული ქორწინების, მოხალისეობისა და ახალგაზრდული აქტივიზმის შესახებ, დღის მანძილზე ჩაერთვებიან თემატურ შემეცნებით-გასართობ აქტივობებში. გასვლითი ღონისძიება დასრულდება პანელური ფორუმით.

კონფერენციის ეტაპები:

ნაშრომები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელ-ფოსტაზე: moxalisehera@gmail.com. ველში მიუთითეთ „კონფერენცია“. ნაშრომის გამოგზავნის ბოლო ვადა: 10 სექტემბერი, 2018 წ, 23:59 სთ; პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება. ნაშრომებს განიხილავს კომისია. შერჩეულ მონაწილეებს დაუკავშირდებიან 1 ოქტომბერს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ: moxalisehera@gmail.com